ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4770207

ნომერი: AR1719637

თარიღი : 21.11.2019

გაცემის თარიღი : 28.11.2019

გაცნობის თარიღი : 28.11.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლილოს ბაზრობის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვარაცხელია პ/ნ 01024007565
- თბილისი ლ.გოთუას ქ. N 12 ბ. 29

ორგანიზაცია:
- ლილო მოლი კოდი: 208150506

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება , რომლითაც ითხოვთ ერთ სართულიანი სავაჭრო ობიექტის განთავსების უფლებას.
პასუხად გაცნობებთ რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისში,კახეთის გზატკეცილი N112-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.19.13.001.031; 01.19.13.002.041 და სხვა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 სექტემბერის #302 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი , ზემოაღნიშნული პროექტის მიხედვით თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია სექტორი 1-ის არეალში არეალში .

აღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან თქვენს მიერ არ ხდება განვითარება 2016 წლის 13 სექტემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #302 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის სქემის გათვალისწინებით და საპროექტო ლაქით მონიშნული არეალი ათვისებულია მხოლოდ ფრაგმენტულად , ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტაციით შენობა არ წარმოადგენს I კლასი ობიექტს (მალის სიდიდე გაცდენილია კლასის მახასიათეებლებს და განაშენიანების ფართობიც (მეტალის მილკვადრატების ირგვლივ შემოკავებული ნაწილით)) შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა .

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.